



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

40-05-4-201809202333



ქ. ბათუმი

20/09/2018

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 05/40

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
რეორგანიზაციის მიზნით საკრებულოს აპარატის ახალი სტრუქტურის
შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ**

„პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2018 წლის 11 სექტემბრის №05/38 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დაწყებულ იქნეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის რეორგანიზაციის მეორე ეტაპი - აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება.

2. შეიქმნას პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) სულიკო თებიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი);
- ბ) ომარ მახარაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე);
- გ) რაულ ბოლქვაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

- დ) სულიკო შვენთიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
- ე) მადონა თურმანიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);
- ვ) შორენა ფუტყარაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, საკადრო საკითხებში (სამუშაო ჯგუფის წევრი - მდივანი).

3. წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა 2018 წლის 20 ოქტომბრამდე უზრუნველყოს რეორგანიზაციის მიზნების შესაბამისი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის პროექტის, ასევე მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტების (საშტატო ნუსხა, საკრებულოს აპარატის დებულება და საჭიროების შემთხვევაში სხვა აქტები) პროექტების მომზადება და წარმოდგენა შემდგომი სამართლებრივი მსვლელობის მიზნით.

4. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელშეწყობა განახორციელოს საკრებულოს აპარატმა.

5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე (www.batumicc.ge) გამოქვეყნება.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

